დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2021 წლის 28 იანვრის N 02-09/08 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

1. უცხოური წარმოების მხატვრული ფილმი - 150 (ას ორმოცდაათი) ერთეული

ლიცენზიის ღირებულება - ერთი ერთეულისთვის 1800 (ათას რვაასი) ლარი.

კრიტერიუმები:

- 50 ფილმი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე
- ფილმის შექმნაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ორ ან მეტ კინემატოგრაფიაში მოღვაწე ცნობილ ადამიანს;
- ფილმს მოპოვებული უნდა ჰქონდეს სხვადასხვა მსოფლიო ფესტივალ(ებ)ის ჯილდო(ები);
- ფილმს გაქირავების შედეგად მოპოვებული უნდა ჰქოდეს 1(ერთი) მილიონ დოლარზე მეტი;
- ფილმის ჟანრი: სათავგადასავლო, კომედია, საოჯახო, მელოდრამა, ისტორიული, დრამა, დეტექტივი;
- ფილმის გადაღების თარიღი: 2010-2020 წწ.
- პროდუქციის გახმოვანება (ორ ხმაში) - ნიმუშის წარმოდგენით.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი.

2. დოკუმენტური ფილმი BBC - 130 (ას ოცდაათი) ერთეული.

ფილმის ქრონომეტრაჟი: 50 ფილმი - 45 წუთიდან 60 წუთამდე.

80 ფილმი - 25წუთიდან-30 წუთამდე.

ღირებულება: 45 წუთიდან 60 წუთამდე ფილმისთვის - 2000 (ორი ათასი) ლარი.

25წუთიდან-30 წუთამდე ფილმისთის - 1000(ათასი) ლარი.

კრიტერიუმები:

- თემატიკა: უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ცნობილი ადამიანები და მიღწევები მეცნიერების, მედიცინის, ეკოლოგიის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროში, მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო;

- ფილმის გადაღების თარიღი 2010-2020 წ.;
- პროდუქციის გახმოვანება (ორ ხმაში) - ნიმუშის წარმოდგენით.

(შესაძლებელია შემოთავაზებული იყოს ზემოაღნიშნული თემატიკის არაუმეტეს 3 (სამი) დოკუმენტური ფილმების ციკლი)

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი.

3. ანიმაციური ფილმი - 62 (სამოცდაორი) ასტრონომიული საათი.

ერთი ასტრონომიული საათის ლიცენზიის ღირებულებაა - 1600 (ათას ექვსასი) ლარი.

კრიტერიუმები:

- ცნობილი სტუდიების ფილმები- Walt Disney, Warner Bros. Cartoons, DreamWorks Animation SKG და სხვა;
- ჟანრი: შემეცნებითი, სათავგადასავლო, ფანტასტიკა;
- მულტსერიალი: ერთი სერიის ქრონომეტრაჟი 15-25 წთ. ერთი მულტსერიალში შემავალი სერიების რაოდენობა 20-დან -25-მდე ერთეული.
- ანიმაციური ფილმის ქრონომეტრაჟი 40 წუთიდან -50 წუთამდე .
- ფილმების გადაღების თარიღი 2010-2020წ.

პროდუქციის გახმოვანება (ორ ხმაში).

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი.

<u>ლიცენზიის სავარაუდო პერიოდია 2021წლის 01 მარტიდან 2022 წლის 01 მარტამდე პერიოდი (მაგრამ არანაკლებ ერთი წლისა). ლიცენზია უნდა გულისხმობდეს ერთი წლის განმავლობაში არანაკლებ 2 საჯარო გადაცემის უფლებას, ერთი გამეორებით ყოველი ჩვენების შემდგომ.</u>

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება მაუწყებლის დირექტორის (გიორგი კოხრეიძე) სახელზე, კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ქვემოთ მითითებული დოკუმენტები/მასალა.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან - გაცემული 2021 წლის 28 იანვრის შემდგომ.

- სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2021 წლის 28 იანვრის შემდგომ გაცემული ცნობა დავალიანების არ არსებობის შესახებ.
- ქართულ ენაზე, ორ ხმაში გამოხმოვანების ნიმუშები. ნიმუშები წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური ფორმის CD დისკით ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით ან/და განთავსებული უნდა იყოს ინტერნეტ სივრცეში და კომისიას უნდა ჰქონდეს მისი ჩამოტვირთვის შესაძლებლობა(ინტერნეტ მისამართი მიეთითება განცხადებაში).
- შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში ლიცენზიის გაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოქმებული თარგმანი). იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ წარმოადგინოს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მიმწოდებელი კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენისას დასაშვებია წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება, მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო ღრებულების 50%-ისა. წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება თუ კომპანიაზე რეგისტირებულია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.
ანგარიშსწორება წარმოებს (გარდა საავანსო ანგარიშსწორებისა) ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად (ფილმისა და ლიცენზიის მოწოდების შემდგომ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე)
ანგარიშსწორების პირობების დეტალები დაზუსტდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
დასაშვებია კონკურსში მითითებულ ლიცენზიის ღირებულებებზე დაბალი ღირებულების შემოთავაზება.

კონკურსში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთზე მეტი გამარჯვებული, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი დააკმაყფილებს საკონკურსო პირობებს.
კონკურსში რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენისას, საკონკურსო კომისია აწარმოებს გამარჯვებულებთან მოლაპარაკებას კონკურსში მონაწილეების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების შერჩევის მიზნით. პროდუქციის/მომსახურების შერჩევისას კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლის ინტერესების, მათ შორის, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით;

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2021 წლის 28 იანვარი .
განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2021 წლის 08 თებერვალი (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ე)გამარჯვებულთან მოლაპარაკების წარმოება

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520